ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2355834

ნომერი: AR1361168

თარიღი : 02.12.2015

გაცემის თარიღი : 22.12.2015

გაცნობის თარიღი : 23.12.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ჯავახეთის ქუჩაზე , ვარკეთილის ზემო პლატოს II მ/რ-ის N10 კორპუსის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ტარიელ სრესელი პ/ნ 01001010802
- თბილისი გლდანი II მ/რ კორ. 29 ბ. 34

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  რეკონსტრუქცია
- საჩრდილობლის მოწყობა
  რეკონსტრუქცია

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

არსებული შენობის ფასადზე (სარეკლამო ტიპის) საჩრდილობლის მოწყობის შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი–სამგორი, ჯავახეთის ქუჩაზე, ვარკეთილის ზემო პლატოს II მ/რ–ის #10 კორპუსის მიმდებარედ, შპს "ეკო–92"–ის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე არსებული შენობის ფასადზე (სარეკლამო ტიპის) საჩრდილობლის მოწყობას. განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელიც არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელებისშესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მერიის სსიპ "თბილისის არქიტექტურის სამსახური".

"მშენებლობის ნაბართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად არქიტექტურის სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (კუთვნილების დამადასტურებელი დოკუმენტის საკადასტრო მონაცემები #01.19.20.002.001; არსებული ფოტო და ფოტომონტაჟი, მინდობილობა) ქალაქმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი–სამგორი, ჯავახეთის ქუჩაზე, ვარკეთილის ზემო პლატოს II მ/რ–ის #10 კორპუსის მიმდებარედ, შპს "ეკო–92"–ის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე არსებული შენობის ფასადზე (სარეკლამო ტიპის) საჩრდილობლის მოწყობის შესაძლებლობას.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.